მოსწავლეთა მოტივაციის ფორმირების

სტრატეგია და პრიორიტეტები

თემის აქტუალობა: მსოფლიო საგანმანათლებლო საზოგადოება თანხმდება, რომ მოტივაცია არის ყველაზე მთავარი კომპონენტი სასწავლო პროცესში, რომლის რეგულირების გარეშე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ვერ მიაღწევს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს. შესაბამისად ქვეყანაში ვერ მოხდება ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების აღზრდა, იმ ახალგაზრდების, რომლებიც მიზნობრივად მიღებული ცოდნის ტრანსფერს მოახდენენ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში.

სწორედ ეს არის მთავარი გამოწვევა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისათვის. ვფიქრობთ, მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში და მათი დაინტერესება საკითხით არის ძირითადი პრობლემა ქართული ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებისათვის. წლების მანძილზე გადაუჭრელ საკითხს ახლა უკვე 2020 წლის მარტიდან, თან დაერთო პანდემიის პერიოდი, როდესაც მსოფლიო სრულიად ახალი რეალობის წინაშე დადგა.

მოტივაციის საკითხების სწორად განსაზღვრა, სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი მეთოდოლოგიის დანერგვა მოგვცემს ფუნდამენტურ შედეგებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე აქტიური, კონკურენტუნარიანი, თანადროული მოქალაქის ჩამოყალიბების საქმეში.

ტრენინგის მიზანი: საქართველოს მასწავლებლებს გავაცნოთ მოსწავლეთა მოტივაციის თემაზე ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების შედეგები, შესაბამისი რეკომენდაციები და რესურსები, რომელთა დახმარებითაც შეძლებენ მოსწავლეთა მოტივაციის ხარისხის დადგენას საკუთარ სასწავლო გარემოში.

წინაპირობები მონაწილეობისათვის: ტრენინგზე დასწრება შეუძლია საქართველოს სკოლების მოქმედ მასწავლებლებს.

ტრენინგის ხანგძლივობა: 1 დღე - 1 სესია (1 სთ და 30 წთ)